განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

შპს – ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში

შეფასების თარიღ(ებ)ი
17.06.2022
დასკვნის წარდგენის თარიღი
02.08.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405365698
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბრიტანეთის კვლევები (ინგლისურენოვანი)
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბრიტანეთის კვლევების მაგისტრი Master of British Studies
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბრიტანეთის კვლევების მაგისტრი 0388
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული 07/12/2020 MES7200001214796

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეიმურაზ პაპასქირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელისო ფანცხავა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სესილი ქადარია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორანტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს – ბრიტანული უნივერსიტეტის საქართველოში ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი პროგრამა, რომელიც ამჟამად ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში. იგი შედგება 120 ECTS კრედიტისაგან. აქედან 66 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო კურსებს, 24 ECTS კრედიტი – არჩევით კურსებს და 30 ECTS კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომს.
ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამა თავისი შინაარსითა თუ სტრუქტურით უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ბრიტანეთის კვლევების მაგისტრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს – ბრიტანულ უნივერსიტეტში საქართველოში ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა 2022 წლის 17 ივნისს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, მაგისტრანტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.
ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შპს – ბრიტანული უნივერსიტეტის საქართველოში ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია I, IV და V სტანდარტებთან და მეტწილად შესაბამისობაშია II და III სტანდარტებთან.

- რეკომენდაციები

პროგრამის შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

1.2. შესწორდეს სამაგისტრო რუკები და პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში ამოღებულ იქნას მითითება სასწავლო კურსზე „გაერთიანებული სამეფოს საზოგადოება და კულტურა“.

2.3. შეივსოს სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;

2.3. გადამუშავდეს სილაბუსები: 1. „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“; 2. „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“; 3. „ბრიტანული ლიტერატურის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“.

2.6. გადამუშავდეს აკადემიური ნაშრომის შეფასების სისტემა და დაკორექტირდეს როგორც მინიმალური ზღვარი აკადემიური ნაშრომის დაცვისთვის, ისე მისი საჯარო დაცვაზე შეფასება.

3.1. დაინერგოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს შეფასებების გაცნობის, სიახლეების მიღებისა და სასწავლო განრიგის უკეთ ათვისების საშუალებას მისცემს.

3.2. გაიწეროს სამეცნიერო ხელმძღვანელის არჩევის წესი, შერჩევის კრიტერიუმები, სტანდარტები, ფუნქციები და მოვალეობები.

4.3. აუცილებელია ბიბლიოთეკის გამდიდრება სამეცნიერო ლიტერატურით.

5.3. აუცილებელია განხორციელდეს პროგრამის როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის პროგრამებთან სიღრმისეული დადარება, რაც აისახება ცალკეულ ბენჩმარკინგის დოკუმენტში.

დასკვნის პროექტის წარდგენის შემდგომ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი და მტკიცებულებები, რომ მათ გაიზიარეს რეკომენდაციების ნაწილი, კერძოდ: 2.3. – წარმოდგენილია გადამუშავებული სილაბუსები: „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“; „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“; „ბრიტანული ლიტერატურის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“; 2.6. – წარმოდგენილია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი და შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; 3.2. – წარმოდგენილია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი. გარდა ამისა, წარმოდგენილია დოკუმენტები,

რომლებიც ადასტურებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვას. ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობს უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტისთვის არსებული ვითარებით, გადაწყდა, რომ დასკვნა დარჩება უცვლელი, ხოლო რეკომენდაციების საკითხს გადაწყვეტს საბჭო.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგი რჩევები:

2.2. სასურველია მოხდეს კრედიტების დივერსიფიკაცია არჩევითი საგნების შემთხვევაში, რაც სტუდენტებს მეტი არჩევითი საგნის აღების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ეს შესაძლებელს გახდის არჩევითი საგნების უფრო გამრავალფეროვნებას.

2.3. დამხმარე მასალის სახით „შემოქმედებითი წერის“ სილაბუსს დაემატოს ცნობილ ავტორთა ვიდეო მასტერ-კლასები.

2.4. სასურველია, ყველა იმ კურსის სილაბუსში, სადაც ფინალურ პროექტს მცირე საკვლევი ნაშრომის დიზაინი აქვს, მკაფიოდ იყოს გაწერილი ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა გამოყენებული წყაროების მიმოხილვა, დასკვნები, ციტირების წესი, პლაგიატის მარეგულირებელი ნორმები.

2.4. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პარალელურად, სასურველია გააქტიურდეს სამეცნიერო წრეების, სტუდენტური პუბლიკაციების, სტუდენტთა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობის კომპონენტი, კვლევითი თანამშრომლობა ადგილობრივ თუ უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტთა სტუდენტებთან.

3.1 სასურველია, სილაბუსებში მიეთითოს საკონსულტაციო საათები.

5.1 სასურველია, ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრები ოქმის სახით იყრიდეს თავს ერთიან დოკუმენტში და წარმოდგენილი იყოს, როგორც თანდართული მტკიცებულება

5.2. სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების უფრო მეტად იდენტიფიცირება. შეფასებები უნდა იყოს უფრო დეტალური და სიღრმისეული;

5.2. სასურველია, პროგრამა შეფასდეს უცხოელი შემფასებლის მიერ

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს – ბრიტანული უნივერსიტეტის საქართველოში ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სტუდენტებს მისცეს ღრმა, მულტიდისციპლინური ცოდნა ბრიტანეთისმცოდნეობაში, გამოუმუშავოს უნარები და ცოდნა რითაც შეძლებენ თავისუფლად გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივი, ეკონომიკური, ბიზნეს ან სხვა ურთიერთობების და კომუნიკაციების წარმოებას; მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება ბრიტანული ლიტერატურის შესახებ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, ისევე როგორც გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივი სისტემის; ბიზნეს გარემოს; ეკონომიკის; პოლიტიკური მოწყობისა და სტრუქტურის; განათლების სისტემის; ისტორიის შესახებ; მისცეს კურსდამთავრებულს საფუძვლიანი ცოდნა კვლევის მეთოდების შესახებ და გამოუმუშავოს მას კვლევის უნარები. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. საგანმანათლებლო პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისაა და, აქედან გამომდინარე, მისი კურსდამთავრებულის დასაქმების არეალი საკმაოდ ვრცელია. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო და კერძო ორგანიზაციებსა, ისე ბიზნეს-სექტორში, რომლებიც საქმიანობენ/გეგმავენ საქმიანობას გაერთიანებულ სამეფოში; ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროში, საელჩოებში, ნებისმიერ საჯარო სექტორში, რომელიც გულისხმობს გაერთიანებულ სამეფოსთან კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ან რაიმე სხვა ტიპის ურთიერთობას. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა გააგრძელოს სადოქტორო დონეზე, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბრიტანული უნივერსიტეტის საქართველოში მისია (https://www.britishuni.edu.ge/ge/blog/view/21/misia);

○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს – ბრიტანული უნივერსიტეტის საქართველოში ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად

არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. სწავლის შედეგები მიღწევადიაა და ისინი შეესაბამება პროგრამის მიზანს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს (0388.2.1 ბრიტანეთის კვლევები/ბრიტანეთისმცოდნეობა) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას „ბრიტანეთის კვლევების მაგისტრი“.

პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს, რომ ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

1) კრიტიკულად იაზრებს გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივ ჩარჩოს, ბიზნეს გარემოს, ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას, ისტორიასა და განათლების სისტემას;

2) აფასებს და განიხილავს ბრიტანული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, მათი ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის საფუძველზე;

3) აანალიზებს გაერთიანებული სამეფოს თანამედროვე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებსა და გამოწვევებს და მის როლს ევროპასა და მსოფლიოში;

4) აანალიზებს ბრიტანულ ლიტერატურას ეკონომიკური, სოციალური და სხვადასხვა თეორიული თვალთახედვიდან და აყალიბებს დასკვნებს, რომელშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები;

5) აყალიბებს რეკომენდაციებს რთული პრობლემების გადასაჭრელად ბრიტანეთის ბიზნეს, ეკონომიკურ-პოლიტიკურ, განათლების სისტემასთან დაკავშირებით;

6) არგუმენტირებულად წარმოადგენს საკუთარ დასკვნებს აკადემიურ და არააკადემიური საზოგადოების წინაშე, ზეპირი და წერილობითი ფორმით;

7) დამოუკიდებლად ახორციელებს მულტიდისციპლინურ კვლევას, უახლესი მიდგომების გამოყენებით,

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და წარმართავს საკუთარ სწავლას მულტიდისციპლინურ სასწავლო გარემოში.

პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია ცალკეული კურსების სწავლის შედეგების მიხედვით, რომლებიც გამომდინარეობს სასწავლო კურსების მიზნებიდან და შინაარსიდან. პროგრამის სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკებში, ასევე მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკაში. ისინი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი. სწავლის შედეგების რუკაში.

უსდ ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. მასში მოქმედებს პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების ნიშნულების მიღწევას. ამისთვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების რუკა.

სამაგისტრო რუკებში, ცოდნისა და გაცნობიერიების კუთხით პროგრამის სხვადასხვა სწავლის შედეგის (1. „სტუდენტი აფასებს და განიხილავს ბრიტანული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, მათი ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის საფუძველზე“; 2. „სტუდენტი აანალიზებს ბრიტანულ ლიტერატურას ეკონომიკური, სოციალური და სხვადასხვა თეორიული თვალთახედვიდან და აყალიბებს დასკვნებს, რომელშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები“) მისაღწევად, სხვა კურსებთან ერთად, მითითებულია კურსი „გაერთიანებული სამეფოს საზოგადოება და კულტურა“. ხსენებული კურსი ერთგვარი შესავალი საგანია მულტიდისციპლინარული პროგრამის დანარჩენი სავალდებულო კურსებისთვის, იგი თითო კვირას (ლექცია/სემინარი – სულ 2 საათი)

უთმობს ბრიტანული პოლიტიკის, კულტურის, ეკონომიკის, საზოგადოების, სამართლის, ტრადიციების სხვადასხვა ასპექტების შესწავლას და არ მიგვაჩნია მართებულად სამაგისტრო რუკებში მისი მითითება ცოდნა-გაცნობიერების კუთხით სწავლის შედეგის უზრუნველმყოფ მექანიზმად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: 1.2. შესწორდეს სამაგისტრო რუკები და პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში ამოღებულ იქნას მითითება სასწავლო კურსზე „გაერთიანებული სამეფოს საზოგადოება და კულტურა“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე კანდიდატები ჩაირიცხებიან საერთო სამაგისტრო და საუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. კანდიდატმა საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან არანაკლებ სამ ნაწილში უნდა გადალახოს კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. საუნივერსიტეტო გამოცდები მოიცავს გასაუბრებას (ზეპირ გამოცდას) და ტესტირებას ინგლისურ ენაში. ინგლისური ენის ტესტი შედგება მოსმენის, კითხვის და წერითი დავალებებისაგან.

მოსმენის და კითხვის დავალება ფასდება 25-25 ქულით, წერითი დავალება მოიცავს არგუმენტირებულ ესეს და ფასდება 10 ქულით.საერთო ჯამში ტესტი ფასდება მაქსიმუმ 60 ქულით, საიდანაც მინიმალური ზღვარი შეადგენს 60%-ს ანუ 36 ქულას. გასაუბრებაზე ფასდება შემდეგი ოთხი კომპონენტი: • თემატიკის ცოდნა - კანდიდატი პასუხობს შეკითხვებს თემატური ცოდნის შესამოწმებლად შემდეგ საკითხებთან მიმართებით: დიდი ბრიტანეთის ისტორია და ტრადიციები; დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემა; დიდი ბრიტანეთის კულტურა; დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა;დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა. თემატიკა სრულ შესატყვისობაშია სამაგისტრო კურიკულუმთან. გასაუბრებისთვის მომზადების მიზნით აპლიკანტებისთვის რეკომენდირებულია შემდეგი ლიტერატურა: O'Driscoll, James (2018). Britain for Learners of English; Oxford University Press. მოცემული სახელმძღვანელო სავსებით შესაბამისია პროგრამის მულტიდისციპლინარულ ხასიათთან. • მოცემული მასალაზე დაყრდნობით, კანდიდატმა უნდა შეარჩიოს მისთვის საინტერესო თემა და მოამზადოს 10 წუთიანი პრეზენტაცია; • კანდიდატის ინფორმირებულობა პროგრამის შესახებ; • ენობრივი უნარ-ჩვევები. გასაუბრება ტარდება ინგლისურ ენაზე და ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. გასაუბრების ეტაპის წარმატებით გავლისთვის, კანდინატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 20 ქულა სტატუსის მოპოვება შესაძლებლია ასევე მობილობის საფუძველზეც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვება სამართლიანია; მასზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სავსებით შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები; ○ შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.britishuni.edu.ge/ge/blog/view/4/britanetis-kvlevebi. ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, და ხორციელდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით. მისი შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და შეესაბამება სწავლების მოცემულ საფეხურს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ბრიტანეთის კვლევების მაგისტრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. იგი მოიცავს 120 კრედიტს, რომლებიც

გადანაწილებულია სავალდებულო (66 კრედიტი) და არჩევით (24 კრედიტი) კურსებსა და სამაგისტრო ნაშრომზე (30 კრედიტი). პროგრამა სტუდენტს სთავაზობს რვა არჩევით საგანს, რომელთაგან იგი ორ-ორ საგანს ირჩევს მეორე და მესამე სემესტრში. პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობაა 2 წელი და ყოველ სემესტრზე გათვალისწინებულია 30 კრედიტი. პროგრამაში შესულ ყველა საგანს, როგორც ძირითადს, ასევე არჩევითს მინიჭებული აქვს 6 კრედიტი. თუ ძირითადი საგნების შემთხვევაში, პროგრამის მულტიდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე, მსგავსი გადაწყვეტილება გამართლებულია (სტუდენტები სწავლობენ კვლევის მეთოდებს, გაერთიანებული სამეფოს ისტორიას, სამართალს, ლიტერატურას, ბიზნეს გარემოს, ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას – თანაბარმნიშვნელოვან და მოცულობით სასწავლო კურსებს), არჩევითი საგნების შემთხვევაში ვთვლით, რომ სასურველია ამ მაჩვენებლის დივერსიფიკაცია არჩევითი საგნების შინაარსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე: მცირე კრედიტი სტუდენტს მეტი არჩევითი კურსის შესწავლის საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ამით მოხერხდება პროგრამის უფრო გამრავალფეროვნება და გარკვეული საგნების დამატება (მაგალითად, „გაერთიანებული სამეფოს თეატრი“). პროგრამის შინაარსი და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებს, პროგრამის კურსდამთავრებული იძენს იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მას შრომით ბაზართან ადაპტაციის საშუალებას მისცემს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები მეტწილად თანმიმდევრული და ლოგიკურია, წინაპირობა მხოლოდ ერთ ძირითად კურსს აქვს და იგი სავსებით ადეკვატურადაა შერჩეული. კერძოდ, კურსის „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“ დასაძლევად აუცილებელია კურსის „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“ შინაარსის ცოდნა. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის ვებგვერდის მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის რუკები ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანალიზი ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.britishuni.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 2.2. სასურველია მოხდეს კრედიტების დივერსიფიკაცია არჩევითი საგნების შემთხვევაში, რაც სტუდენტებს მეტი არჩევითი საგნის აღების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ეს შესაძლებელს გახდის არჩევითი საგნების უფრო გამრავალფეროვნებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალი სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლების შედეგებს და უზრუნველყოფს ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს ღრმა, მულტიდისციპლინურ ცოდნას ბრიტანეთისმცოდნეობაში. სავალდებულო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ძირითადად შეესაბამება ამ კურსების სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პრაქტიკულად ყველა

სილაბუსის შემთხვევაში საჭიროა სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის გაფართოება, რადგან სამაგისტრო საფეხურზე ერთი სახელმძღვანელოს გამოყენება არ არის მიზანშეწონილი და უფრო რთულს ხდის სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე შეინიშნება დამატებითი ლიტერატურის ნაკლებობა. როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, ლექტორები იყენებენ სასწავლო პროცესში დამატებით ლიტერატურას, შესაბამისად, ამ საკითხავი მასალის ასახვა სილაბუსში აუცილებელია. რეკომენდირებულია ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალის შევსება ყველა იმ სალექციო კურსში, სადაც მსგავს პრობლემას ვაწყდებით (მაგ.: „გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკა და ბიზნესი“; „გაერთიანებული სამეფოს ისტორია“; „გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკური სისტემა“ და ა.შ.).

ზოგადი შენიშვნების გარდა, არის რამდენიმე სილაბუსი, რომელიც ითხოვს გადამუშავებას შინაარსობრივი კუთხით. პირველ რიგში, ეს ეხება ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით არსებულ კურსებს – „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“ და „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“, რომელთა სილაბუსები სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვს. აღნიშნული კურსების სწავლის შედეგებში ვკითხულობთ: ვკითხულობთ: ა) „კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი აფასებს და კრიტიკულად განიხილავს გაერთიანებული სამეფოს 1910 წლამდე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, მათი ღრმა ცოდნის საფუძველზე“; ბ) „კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი აფასებს და კრიტიკულად განიხილავს გაერთიანებული სამეფოს 1910 წლიდან დღემდე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, მათი ღრმა ცოდნის საფუძველზე; აკავშირებს მოცემული დისციპლინისათვის დამახასიათებელ ტექსტს და დისკურსს კულტურისა და ინტელექტუალური ისტორიის ფართო საკითხებთან; აანალიზებს შესაბამის თეორიულ იდეებს და იყენებს მათ ლიტერატურულ ტექსტებთან მიმართებით“. თუმცა, თავად სილაბუსების შინაარსში (ლექცია/სემინარები და ძირითადი/დამატებითი ლიტერატურა) მხატვრული ტექსტები მითითებული არაა. ინტერვიუმ აჩვენა, რომ კურსის მსვლელობისას სტუდენტები გარკვეულ მხატვრულ ტექსტებს განიხილავენ, თუმცა ეს ფაქტი არ აისახება სილაბუსში, რაც გამოსასწორებელია. გარდა ამისა, ამ კურსებთან მიმართებაში გვაქვს შენიშვნა სალექციო მასალის განაწილების თაობაზე: ორივე კურსი ჯამში გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურის სრულ ისტორიას მოიცავს. სილაბუსის ავტორს ვეთანხმებით იმ გადაწყვეტილებაში, რომ თანამედროვე (ახალი და უახლესი) ლიტერატურა ცალკე გამოიყოს, როგორც არსებითი მნიშვნელობის მქონე თანამედროვე ბრიტანული სინამდვილის შესასწავლად, თუმცა როგორც ქვემოთმოყვანილი შენიშვნებიდან ჩანს, მიზანი, რომ სტუდენტი სიღრმისეულად გაეცნოს თანამედროვე ბრიტანულ ლიტერატურას, ვერ ხორციელდება მეორე სილაბუსში („გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“) არსებული ხარვეზების გამო და წყალგამყოფად 1910 წლის აღება კიდევ უფრო მჭიდრო ჩარჩოს უწესებს პირველ სილაბუსში („გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“) შესულ უაღრესად მოცულობით მასალას. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ მეორე სილაბუსი დაიწყოს არა 1910 წლის, არამედ ე.წ. „საუკუნის მიჯნის ლიტერატურით“ (მე-19 საუკუნის ბოლო ორი ათწლეული: ბრიტანული სიმბოლიზმი, პრერაფაელიტები, ოსკარ უაილდი და ესთეტიზმი, საუკუნის მიჯნის ბრიტანული რეალიზმი დ.ა.შ.), რაც შედარებით განტვირთავს პირველ სილაბუსს და ზედმეტი თემების ამოღების შემდეგ ორგანულად შეავსებს მეორე სილაბუსს.

აღნიშნული სილაბუსების გადამუშავებისას, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგი ხარვეზების გამოსწორებას:

კურსი „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“

ა) კურსი იწყება შემდეგი სალექციო თემით: „შუა ხანების ინგლისური ლიტერატურა: 1066-1500“, რაც გამორიცხავს ადრეული შუა საუკუნეების ლიტერატურას და „ბეოვულფს“ - ბრიტანული ლიტერატურული კანონის პირველ მნიშვნელოვან ძეგლს. ინტერვიუს შედეგად შევიტყვეთ, რომ სტუდენტები სწავლობენ ანგლო-საქსურ ლიტერატურას, სახელდობრ, „ბეოვულფს“, მაგრამ მოცემული საკითხი სილაბუსში არაა შეტანილი. რეკომენდირებულია სილაბუსის შესწორება.

ბ) კურსში მე-5 და მე-6 კვირის მასალა უნდა გადაჯგუფდეს, რადგან ქრონოლოგიურად სტუდენტები ჯერ შექსპირის შემოქმედების პირველ პერიოდს (კომედიები) უნდა გაეცნონ და შემდეგ მეორე პერიოდს (ტრაგედიები).

გ) სალექციო თემატიკის ჩამონათვალში ლიტერატურა განაწილებულია ისტორიული ეპოქების სახელწოდებების მიხედვით, მაგ.: ტიუდორების ლიტერატურა, სტუარტების ლიტერატურა დ.ა.შ. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მსგავსი მიდგომა პროგრამის ინტერდისციპლინარულობის ხაზგასასმელად იქნა არჩეული, მაგრამ რადგანაც საგნის პირველადი ამოცანა ბრიტანული ლიტერატურის სწავლებაა, ვფიქრობთ, თემატიკის დასახელებაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს ლიტერატურული მინდინარეობები და ტენდენციები, რაც არ გამორიცხავს ისტორიული ეპოქების კომპონენტის შენარჩუნებას - მაგ.: ტიუდორების ხანა და ბრიტანული რენესანსი.

დ) ვთვლით, რომ სილაბუსში მასალა არათანაბრადაა განაწილებული: მაშინ, როცა ბრიტანულ რომანტიზმს მხოლოდ ერთი სალექციო კვირა ეთმობა (რაც ამ მოცულობითი და მნიშვნელოვანი პერიოდის მხოლოდ ზედაპირულ ცოდნას თუ მისცემს სტუდენტს), ორ კვირაზეა გაწერილი „გვიანი ვიქტორიანული და ედვარდის ეპოქის ლიტერატურა“ (კვირა 13-14), სადაც შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ავტორებია წარმოდგენილი. ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ ორი კვირის გაერთიანება და გამოთავისუფლებული კვირის გამოყენება ბრიტანული რომანტიზმის სწავლებისათვის.

კურსი „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“

ა) კურსის მიზნებში ვკითხულობთ: „სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს სუბიექტურობის, იდენტურობის, კონფლიქტის, საზოგადოების, მითის, იდეების გადაცემის, თხრობის, თარგმანის, ტრანსფორმაციისა და გავლენის იდეები“. ვთვლით, რომ სიტყვა „თარგმანი“ აქ უადგილოა.

ბ) გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები: მაგ.: სიტყვა novel ქართულად თარგმნილია, როგორც ნოველა (კვირა 3); სილაბუსის ქართულ ვარიანტში გასასწორებელია რიგ ავტორთა გვარები (კვირა 10-12)

გ) სილაბუსის თემატიკა მეტწილად შესაცვლელია: 1. გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურის ისტორიის სილაბუსში რამდენიმე კვირა ამერიკული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს ეთმობა. სავსებით ვიზიარებთ სალექციო კურსში ეზრა პაუნდის შემოქმედების განხილვას ბრიტანულ მოდერნიზმთან ამ ავტორის მჭიდრო კავშირის კონტექსტში, მაგრამ გაუგებარია, რატომ მოიცავს სალექციო მასალა ისეთ თემებს, როგორიცაა „ჰარლემის რენესანსი“, მოდერნისტული ამერიკა, გერტრუდ სტაინი დ.ა.შ. 2. გაუგებარია, რატომ გვხვდება 1910 წლიდან დღემდე შექმნილი ბრიტანული ლიტერატურის სილაბუსში შემდეგი საკითხები: „რენესანსი და რეფორმაცია: 1510-1620“

და ედვარდიანული და გეორგიანული ლიტერატურა. 3. სალექციო კურსში სამი კვირა (7,8,9) ეთმობა შემდეგ თემებს: „დეტექტივები და ჯაშუშები/პოსტ-კონსენსუსის ნაწარმოები: უმცირესობების კულტურა, მულტიკულტურალიზმი და ტრანსნაციონალური შედარება/ ისტორიის მეორე მხარე: ფანტაზია, რომანტიკა, საშინელებათა და სამეცნიერო სამხატვრო ლიტერატურა“. მიუხედავად იმისა, რომ თემატიკა საინტერესოდ ჟღერს, ამ საკითხებისთვის დათმობილი დრო მეტისმეტად გვეჩვენება იმის გათვალისწინებით, რომ სილაბუსში არაა წარმოდგენილი/ზედაპირულადაა მიმოხილული გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ლიტერატურული ტენდენციები და ავტორები, ვიდრე, ვთქვათ, დეტექტივებისა და ჯაშუშთა რომანების ავტორი ჯონ ლე კარეა. ვთვლით, რომ ამ საკითხების განხილვისათვის ერთი სალექციო კვირა სავსებით საკმარისია. განხორციელებული ცვლილებები სილაბუსის ავტორს საშუალებას მისცემს, სალექციო თემატიკა შეავსოს თანამედროვე ბრიტანული ლიტერატურული კანონის ისეთი წარმომადგენლებით, როგორიცაა „გაჯავრებული ახალგაზრდები“, გოლდინგი, ფაულზი, მერდოკი, ბარნსი დ.ა.შ.

დ) ქრონოლოგიის დაცვის მიზნით მე-6 კვირის მასალა „ინგლისური ლიტერატურის პოსტმოდერნისტული მხატვრული ლიტერატურა“ უნდა გადავიდეს „მოდერნისტული ლიტერატურის“ შემდეგ, თემის ქართულენოვანი სახელწოდება კი ჩასწორდეს.

გადასამუშავებელია ასევე არჩევითი საგნის „ბრიტანული ლიტერატურის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“ სილაბუსი. აღნიშნული საგანი, რომელიც თავისი არსით ინტერდისციპლინარულია, კარგად ავითარებს სხვადასხვა ტიპის ცოდნის სინთეზისა და ანალიზის უნარს და საინტერესო თემატიკით გამოირჩევა, მაგრამ სილაბუსში გაწერილი მიზნები არ ემთხვევა კურსის შინაარსს. კურსის მიზნებში ვკითხულობთ: „სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა გააანალიზოს გუსტავ ფლობერის, ტომას ჰარდის, ანდრე ჯიდის (ასეა სილაბუსში), გერტრუდ სტაინის, უოლფისა და სხვა რომანების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები; განიხილოს და გააანალიზოს მხატვრული ლიტერატურის პოლიტიკური ასპექტები შექსპირის, სკოტის, დიკენსის, ბაირონის, ჩერჩილის და გოლდინგის ნაწარმოებების მაგალითზე“. ჩამოთვლილ ავტორთაგან ორი (ფლობერი, ჟიდი) ფრანგია, ერთი (სტაინი) – ამერიკელი, მათი შემოქმედების ანალიზს სილაბუსის თემატურ ნაწილში არ ვხვდებით და ეს სახელები კურსის მიზნებიდანაც უნდა იყოს ამოღებული; სილაბუსის თემატურ ნაწილში არც შექსპირის, სკოტის, და ბაირონის ნაწარმოებების პოლიტიკური ასპექტებია წარმოდგენილი და შესაბამისად, სილაბუსის ავტორმა ეს მწერლებიც უნდა ამოიღოს სასწავლო კურსის მიზნებიდან, ან მათი ნაწარმოებების ანალიზი სილაბუსის თემატურ ნაწილში შეიტანოს. გარდა ამისა, ამავე საგნის შეფასების ნაწილში ორი მთავარი წერილობითი დავალება: „ესსე (2000 სიტყვა)- 30 ქულა“ და „დასკვნითი ესსე (3000 სიტყვა) – 40 ქულა“ მოითხოვს, რომ სტუდენტებმა დაწერონ „ანალიტიკური ესე, რომლის ფარგლებშიც ისინი აანალიზებენ ტექსტს ეკონომიკურ ჭრილში“. რამდენადაც კურსის სახელწოდებაა „ბრიტანული ლიტერატურის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“, ხოლო მისი შინაარსის დიდი წილი სწორედ ბრიტანულ ლიტერატურაში ასახულ ამა თუ იმ საინტერესო პოლიტიკურ ასპექტს ეხება, ვფიქრობთ, ხსენებულ დავალებებში სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანი კონკრეტული ტექსტის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ჭრილში გაანალიზების კუთხით.

არჩევითი კურსების ჩამონათვალში გვხვდება საგანი „შემოქმედებითი წერის პრაქტიკა“. რჩევის სახით აღვნიშნავთ, რომ კარგი იქნება, თუ სილაბუსის ავტორი დამხმარე მასალის სახით გამოიყენებს ისეთი ცნობილი ავტორების ვიდეო მასტერ-კლასებს, როგორიცაა მარგარეტ ეტვუდი, ნილ გეიმანი და სხვები. ეს, შემოქმედებითი წერის უნარ-ჩვევების დახვეწისა და საგნის მიმართ სტუდენტების ინტერესისა და მოტივაციის ამაღლების პარალელურად, გააძლიერებს მათ კომპეტენციას ინგლისური ენის მოსმენის კუთხით და განავითარებს მხატვრული ლიტერატურის სიღრმისეულად აღქმის უნარს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ კურიკულუმის რუკა ○ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ○ „შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა და ანალიზის“ დოკუმენტი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: 2.3. შეივსოს სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; 2.3. გადამუშავდეს სილაბუსები: 1. „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“; 2. „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“; 3. „ბრიტანული ლიტერატურის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 2.3. დამხმარე მასალის სახით „შემოქმედებითი წერის“ სილაბუსს დაემატოს ცნობილ ავტორთა ვიდეო მასტერ-კლასები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიურ პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი აკადემიური ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებული დეტალები. პროგრამა შეიცავს რიგ სასწავლო კურსებს, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები კვლევის მიმართულებით ცოდნას იღრმავებენ და შესაბამის პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებენ. ასეთია სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები“, რომელსაც სტუდენტები პირველ სემესტრში შეისწავლიან და რომლის ფარგლებშიც კვლევის დიზაინისა და ანალიზის ძირითად პრინციპებს, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კვლევის ჩატარებისათვის საჭირო სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების უპირატესობებს, ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და კვლევის ჩატარების თავისებურებებს ეცნობიან. მესამე სემესტრში პროგრამა სტუდენტებს სავალდებულო კურსის სახით სთავაზობს საგანს „სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სიღრმისეულად ეცნობიან კვლევის დიზაინის სხვადასხვა ვარიანტს, განიხილავენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ირჩევენ და დამოუკიდებლად ადგენენ საკუთარი სამაგისტრო ნაშრომისათვის საჭირო დიზაინს. თითქმის ყველა სავალდებულო თუ არჩევითი კურსი შეიცავს შეფასების კომპონენტად ფინალურ პროექტს, რომელიც კურსის ფარგლებში შესწავლილ რომელიმე საკითხს მოიცავს. ფინალურ პროექტს, როგორც ეს ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, ძირითადად მინი საკვლევი ნაშრომის დიზაინი აქვს და სტუდენტებს მოეთხოვებათ, წარმოადგინონ კრიტიკული მასალის ანალიზი, ნაშრომის ბოლოს ჩამოაყალიბონ დასკვნები, დაიცვან ციტირების წესები და პლაგიატთან დაკავშირებული ნორმები, რაც თანმიმდევრულად აძლიერებს მათ მულტიდისციპლინარულ სამეცნიერო-კვლევით უნარებს. სასურველია, ფინალური პროექტის ხსენებული მოთხოვნები (გამოყენებული წყაროების ანალიზი, დასკვნები, ციტირების წესი, პლაგიატის მარეგულირებელი ნორმები) ყველა სილაბუსში მკაფიოდ იყოს გაწერილი.

სამომავლოდ, სტუდენტების რაოდენობის ზრდის პარალელურად, სასურველია გააქტიურდეს სამეცნიერო წრეების, სტუდენტური პუბლიკაციების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობის კომპონენტი. სასურველია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობა ისეთ სამეცნიერო პროექტებში, როგორიცაა ადგილობრივ თუ უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტთა სტუდენტებთან ერთად განხორციელებული საკვლევი პროექტები, ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა, სტუდენტური მულტიდისციპლინარული კვლევების საუნივერსიტეტო კრებულის გამოცემა დ.ა.შ. მსგავსი ღონისძიებები გაზრდის სტუდენტთა მოტივაციას და ინტერესს სამეცნიერო კვლევების მიმართ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 2.4. სასურველია, ყველა იმ კურსის სილაბუსში, სადაც ფინალურ პროექტს მცირე საკვლევი ნაშრომის დიზაინი აქვს, მკაფიოდ იყოს გაწერილი ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა გამოყენებული წყაროების მიმოხილვა, დასკვნები, ციტირების წესი, პლაგიატის მარეგულირებელი ნორმები. 2.4. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პარალელურად, სასურველია გააქტიურდეს სამეცნიერო წრეების, სტუდენტური პუბლიკაციების, სტუდენტთა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობის კომპონენტი, კვლევითი თანამშრომლობა ადგილობრივ თუ უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტთა სტუდენტებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს. სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლება-სწავლის სალექციო და სასემინარო ფორმატი. სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათები და დამოუკიდებელი მეცადინეობა დაბალანსებულია. პროგრამის სასწავლო კურსებში რეალიზებული სწავლა/სწვლების მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების სათანადო საფეხურს, სასწავლო კურსების შინაარსსა და სპეციფიკას.

სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; გონებრივი იერიში (Brainstorming); ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დისკუსია-დებატები; პრეზენტაცია; შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (Case Study); გუნდური მუშაობა; წერითი მუშაობის მეთოდი. სწავლება-სწავლის ჩამოთვლილი მეთოდები ერთმანეთს ავსებს; კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას გააჩნია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, კერძოდ პირდაპირი შეფასებისას ხორციელდება დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შემდეგი სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით: მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები ორწლიანი ციკლის განმავლობაში. სილაბუსში აღწერილი შედეგები ითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში,თუ თითოეული სავალდებულო კურსისათვის მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში დარეგისტრირებულ სტუდენტთა (ჯგუფში არანაკლებ ოცდახუთი სტუდენტისა) მინიმუმ 80% ფასდება 51 და მეტი ქულით (E – საკმარისი), იმ აუცილებელი პირობით, რომ

სტუდენტს გადალახული აქვს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მინიჭებული აქვს კრედიტი; ან ჯგუფის საშუალო ქულა არანაკლებ 80%-ია. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობისას, შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით. პროგრამის თითოეული შედეგის შესაფასებლად ჯგუფდება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთაც სულ ცოტა ერთი შედეგი აქვთ საერთო. პროგრამა დასახულ შედეგებზე გადის, როდესაც საერთო ნიშნით დაჯგუფებული სასწავლო კურსებისთვის ჯამური საშუალო სიდიდე აღემატება 80%-ს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდის ინსტრუმენტებია: ა) პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა; ბ) პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; გ) პროგარამაზე მობილობის მაჩვენებელი; დ) კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით; ე) დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით). აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბოლოო შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები განისაზღვრება მაქსიმუმ 60 ქულით და დასკვნითი შეფასება მაქსიმუმ 40 ქულით.

სილაბუსები ძირითად მოიცავს შემდეგ შეფასების სისტემას:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებასა.

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91 -100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსები ასევე ითვალისწინებს, პრეზენტაციის შეფასების სქემას, კვლევითი უნარების განვითარებასა და გამოყენებული წყაროების მითთებას. სტუდენტის შეფასება გამჭირვალეა და დადგენილი პროცედურების მიხედვით ხორციელდება.

რაც შეეხება აკადემიური ნაშრომის შეფასების მეთოდს, ის მოიცავს ბუნდოვან და ურთიერთგამომრიცხავ ჩანაწერებს. ეს ინტერვიუირების ფარგლებში პროგრამის ხელმღვანელის მიერაც იქნა გააზრებული. კერძოდ, აკადემიურ პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის მე-7 მუხლი ეხება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მეთოდს. 100-ქულიანი შეფასების სისტემიდან, აკადემიურ ნაშრომს აფასებს სამეცნიერო ხელმძღვანელი (საერთო შეფასების 30%) და

ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული რეცენზენტი (საერთო შეფასების 30%), ხოლო ორივე დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 ქულა და მეტი), ნაშრომი დაიშვება საჯარო დაცვაზე. ორივე უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტი გადამუშავებულ ან ახალ ნაშრომს წარმოადგენს მომავალ სემესტრში. ერთი უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, თუ საშუალო ქულა 51-ზე მეტია, სტუდენტი დაიშვება საჯარო დაცვაზე. 7.6 პუნქტის თანახმად, ნაშრომის დაცვა ფასდება 100-ქულიანი სისტემით კომისიის თითოეული წევრის მიერ. ნაშრომის წარმატებით დაცვისთვის კომისიის საშუალო შეფასება არ უნდა იყოს 51-ზე ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი იგივე ნაშრომს საჯარო დაცვაზე წარმოადგენს შემდგომ სემესტრში. საჯარო დაცვის წილი საბოლოო შეფასებაში არის 40%. ნაშრომის საჯარო დაცვის შედეგები აისახება შესაბამის ფორმაში.
აღნიშნული ჩანაწერი საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავია როგორც საჯარო დაცვაზე დაშვების პუნქტში (თუ ხელმძღვანელმა ან რეცენზენტმა უარყოფითად შეაფასა ნაშრომი, ის თეორიულადაც ვერ დააგროვებს 60-დან აუცილებელ 51 ქულას), ისე უშუალოდ დაცვის პუნქტში, როდესაც ერთგან წერია, რომ საჯარო დაცვის წილი საბოლოო შეფასებაში არის 40%, ხოლო მეორეგან, რომ ნაშრომის დაცვა ფასდება 100-ქულიანი სისტემით კომისიის თითოეული წევრის მიერ. რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ წევრებმა შეაფასონ ნაშრომი 100-ქულიანი სისტემით და შემდეგ ის გადაანგარიშდეს 40 ქულაზე (თუმცა ეს არ წერია შეფასების წესში), მაგრამ, ექსპერტთა აზრით, ლოგიკურია, რომ კომისიის წევრებმა პირდაპირ 40-ქულიანი სისტემით შეაფასონ ნაშრომი. მთლიანობაში კი წესი გადასამუშავებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს თვითშეფასება;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმზღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან;
- აკადემიურ პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის
- სილაბუსები;
- კურიკულუმი;
- ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

რეკომენდაციები:

2.6. გადამუშავდეს აკადემიური ნაშრომის შეფასების სისტემა და დაკორექტირდეს როგორც მინიმალური ზღვარი აკადემიური ნაშრომის დაცვისთვის, ისე მისი საჯარო დაცვაზე შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შპს ბრიტანეთის სასწავლო უნივერსიტეტის ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შემდეგი მიმართულებით: 1. უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებას გააჩნია საკუთარი ვებგვერდი https://www.britishuni.edu.ge, რომელიც ოპტიმიზებულია შშმპ პირებისთვის. ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია დაფინანსების წყაროები, მიმდინარე პროგრამის მიზნები და შედეგები, გრანტები, გაცვლითი პროგრამები, ვებინარები და საგანმანათლებლო ღონისძიებები. მაგალითის სახით, საიტზე არის განთავსებული ინფორმაცია ვაჟა-ფშაველას ფონდის შესახებ, რომელიც ეხმარება სტუდენტებს თანადაფინანსებასა და ფინანსურ მხარდაჭერაში. ამასთანავე სტუდენტებთან ინტერვიუირების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ 4 მოქმედი სტუდენტიდან 2 სტუდენტს ფინანსური მხარდაჭერა აქვს გაწეული. 2. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს საკომუნიკაციო პლატფორმად იყენებენ მეილებს, სადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს, მიმდინარე აკადემიური ღონისძიებების, სიახლეების, კონფერენციების, ახალი დამსაქმებლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ. სტუდენტები ეცნობიან აღნიშნულ ინფორმაციას და სარგებლობენ ელექტრონული ფოსტით. სტუდენტები მეილით იღებენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სიახლეებს, მათ შორის აკადემიურ მოსწრებასა და აპელაციასთან დაკავშირებით მიღწევებს. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში უსდ-ს არ გააჩნდა ონლაინ პლატფორმა, რომელიც საგნის არჩევისა და შეფასების მარტივ გზას წარმოადგენს. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მიმდინარეობის მოლაპარაკებები და უმოკლეს პერიოდში სტუდენტები იქნებიან უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესის მართის ელექტრონული სისტემით. 3. შპს ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შიდა სტრუქტურული ერთეული-სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, რომლის ფუნქციები გაწერილია „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით. წინამდებარე დებულების მე-2 მუხლით სამსახურის მთავარი ფუნქციებია კარიერული დაგეგმვა, განვითარება და სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფა, კერძოდ პოტენციურ დამსაქმებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება და მისი შენარჩუნება, ბაზრის კვლევა და ახალი მოთხოვნების სტუდენტებისთვის მიწოდება, სტუდენტური გაერთიანებებისა და კლუბების რეგისტრაცია, საჯარო ლექციების, ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება, სტუდენტური იდეების მხარდაჭერა. 4. აკადემიური პრობლემის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტები დეკანის სახელზე აგზავნიან წერილობით შეტყობინებას ფოსტის საშუალებით, რომელიც მიზნობრივად ნაწილდება შესაბამის სამსახურებზე, კერძოდ სტუდენტთა განვითარებისა და სერვისებისა

და ხარისხის სამსახურზე. სტუდენტებთან ინტერვიუირების შედეგად აღინიშნა, რომ მათთვის ხელმისაწვდომი, მარტივი და გასაგები მეთოდია, რომელიც პრაქტიკაში ადაპტირებულია. ამასთანავე, ისინი სემესტრის ბოლოს, იღებენ კითხვარს, რომელიც არის აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა. სტუდენტები ჩართულები არიან მიმდინარე აკადემიური პროცესების ცვლილებებთან დაკავშირებით და მათი აზრი პრიორიტეტულია უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებისთვის, რაც გამოიხატა ახალი საგნების შეთავაზებაში, არსებულის მოდერნიზებასა და დახვეწაში. 5. სტუდენტებს ჰყავთ ტუტორი, რომლის ფუნქციებიც გაწერილია „სტუდენტური სერვისების მიწოდების წესში“. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, უნივერსიტეტი ნერგავს პირადი ტუტორის სისტემას, ყველა სტუდენტს ჰყავს პერსონალური ტუტორი, რომელიც ასრულებს მენტორის ფუნქციას. პირადი ტუტორის უმთავრესი ფუნქციაა სტუდენტის დახმარება ნებისმიერი მიმართულებით, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს მის კარიერას, სწავლას და წარმატებას. პირადი ტუტორის მიჩენა ხდება გასაუბრების შედეგად. თითოეულ სტუდენტზე იქმნება პირადი საქმე, სადაც აკუმულირდება სტუდენტის მიღწევები და სწავლის შედეგები მთელი მისი სწავლის განმავლობაში. 6. სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი სილაბუსები არ მოიცავს საკონსულტაციო საათებს. მაგ. საგანში „გაერთიანებული სამეფოს ისტორია“ არ არის განსაზღვრული კონსულტაციების საათები. სილაბუსში მითითებულია საკონტაქტო მეილი და როგორც, სტუდენტებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, კითხვის შემთხვევაში დროულ პასუხს იღებენ ლექტორებისგან. ასევე ნათელია ისიც, რომ ხშირად საკონსულტაციო საათი განისაზღვრება უკვე სემესტრის დაწყებისა და სასწავლო განრიგის საბოლოოდ დადგენის შემდეგ. მიუხედავად ამისა, სასურველია განისაზღვროს საკონსულტაციო საათები სილაბუსებში, რადგანაც ეს აუცილებელი გახდება პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში. 7. ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი პროგრამა, რომელსაც არ ჰყავს კურსდამთავრებული. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის წესი ამ ეტაპზე ვერ იქნა შესწავლილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, ხარისხის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.britishuni.edu.ge; ○ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების – „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება; ○ სტუდენტური სერვისების მიწოდების წესი.
რეკომენდაციები: 3.1. დაინერგოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს შეფასებების გაცნობის, სიახლეების მიღებისა და სასწავლო განრიგის უკეთ ათვისების საშუალებას მისცემს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 3.1. სასურველია, სილაბუსებში მიეთითოს საკონსულტაციო საათები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოქმედებს „აკადემიურ პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“, რომლის თანახმად, ნათლად არ არის გაწერილი ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და ფუნქციები. 6.2 პუნქტის თანახმად, სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია. რეგულაციით არ არის განსაზღვრული რა სახის კომპეტენციასა და კვალიფიკაციას უწესებს უსდ ხელმძღვანელს, კერძოდ, სჭირდება თუ არა დოქტორის ხარისხი ან სპეციალიზაცია. ეს ცალსახად არ იკითხება ამ დანაწესში. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუირების შედეგად დაისვა საკითხი, თუ რომელი დადგენილებით იყო გაწერილი ხელმძღვანელის ფუნქციები და მისი არჩევის წესი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არაერთხელ იქნა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, თუმცა აღნიშნული საკითხი ღიად დარჩა. თავად თვითშეფასებაც ძალიან ზოგადად გადმოსცემს ამ საკითხს.

უსდ-ს ამ ეტაპისთვის არ ჰყავს კურსდამთავრებული, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა საშუალება გაცნობოდა სამაგისტრო ნაშრომებსა და ხელმძღვანელებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში; ○ „აკადემიურ პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“; ○ ინტერვიუ ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: 3.2. გაიწეროს სამეცნიერო ხელმძღვანელის არჩევის წესი, შერჩევის კრიტერიუმები, სტანდარტები, ფუნქციები და მოვალეობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აქედან 11 პროგრამის აკადემიური პერსონალი; 3 – მოწვეული პედაგოგი. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებით დასტურდება, რომ ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი შედგება ფილოლოგიის, განათლების, ისტორიის, პოლიტიკის მეცნიერებების, ეკონომიკის დარგების სპეციალისტებისგან, რაც უზრუნველყოფს ბრიტანეთის კვლევების პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათს.

აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა, 2022 წლის მონაცემებით შეადგენს 4-ს, ამდენად აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია და ასეთად დარჩება სტუდენტების პროგრამით დაგეგმილ რაოდენობაზე (25 სტუდენტი) გასვლის შემთხვევაშიც. ამასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი საგანმანათლებლო პროგრამას მდგრადობის პრობლემას არ ქმნის. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით ასევე სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან.

ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური რაოდენობის დადგენისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა სემესტრულად; შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში ცალკეულ სასწავლო კურსებზე ჯგუფში დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა; შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სასწავლო კურსებზე საკონტაქტო საათების რაოდენობა სემესტრულად; არჩევითი კურსების შემთხვევაში, საათები გაიყოს შუაზე; აკადემიური პერსონალის სალექციო დატვირთვის (საკონტაქტო საათები) მაქსიმალური მაჩვენებლები სემესტრულად.; სალექციო დატვირთის პროცენტული გადანაწილება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის.

ხელმისაწვდომ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ფორმულა, რომლის საფუძველზე ითვლება პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აუცილებელი რაოდენობა. აღნიშნულ ფორმულაში სემესტრული საათები მრავლდება სტუდენტების რაოდენობა გაყოფილი ჯგუფების რაოდენობაზე, მიღებული მაჩვენებელი მრავლდება სავალდებულო კურსების რაოდენობაზე და იყოფა აკადემიური პერსონალის სემესტრულ დატვირთვაზე. საბოლოოდ, მიღებული მაჩვენებლიდან გამოითვლება აკადემიური და მოწვეული პერსონალის წილი.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესი. მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს, კერძოდ, აღწერილია კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღბის პროცესი.

უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია „აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები“, რომლის მიხედვით აფილირებული პერსონალი აკაყოფილებს შემდეგ პირობებს: ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს; აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით/ სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

აკადემიური პერსონალის დატვირთვა შემუშავებულია შიდა რეგულაციით და როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო აქტივობების განხორციელებისა და დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულების საშუალებას იძლევა. ინტერვიუებიდან ასევე ირკვევა, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი აქტიურადაა ჩართული სტუდენტთა კონსულტირებაში. ხაზგასასმელია, რომ პროგრამაზე აქტიური სტატუსის სტუდენტების რაოდენობა საშუალებას აძლევს, მიიღონ შესაბამისი მომსახურება თითო სტუდენტის შემთხვევაში. ბრიტანეთის კვლევების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ფლობს ამომწურავ ინფორმაციას და მისი კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭირო მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოკუმენტი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად, წელიწადში 2-ჯერ. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება შედგება 25 ინდიკატორისგან, თითოეულს ენიჭება შესაბამისი ქულა. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი, რომელიც ასრულებს მაკოორდინირებელი განყოფილების ფუნქციას. მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, რის საფუძველზეც ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი გეგმავს რამდენიმე ტიპის აქტივობას: მათ შორის, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგები (მათ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და მიდგომები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენება). აღნიშნულ ღონისძიებებში დასწრება მნიშვნელოვანი კომპონენტია აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. განვითარებისთვის განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ა) სასწავლო კომპონენტი; ბ) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი; გ) უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობა. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში (70%) დადგენილი ზღვრული ოდენობა შეადგენს 70%-ს. დატვირთვის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო მოიცავს არანაკლებ 2 და არაუმეტეს 14 საკონტაქტო საათის (მათ შორის, საკონსულტაციო) დატვირთვას. ანაზღაურება გაიცემა ყოველთვიურად, ფაქტობრივად შესრულებული საათების შესაბამისად. დოკუმენტაციაში ასახულია ამომწურავი ინფორმაცია შესაბამისი თანამდებობისთვის მაქსიმალური ანაზღაურების შესახებ. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (20%) გულისხმობს ანაზღაურებას განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის ანგარიშის წარმოდგენისას, კალენდარული წლის ნებისმიერ პერიოდში ან/და შიდა გრანტების ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო

პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში, ბიუჯეტით დადგენილი პერიოდულობით. უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის შემთხვევაში (10%), რომელიც ითვალისწინებს ორ კოლეგიურ ორგანოში წევრობას, ანაზღაურება გაიცემა, თუ პირი არის ორი კოლეგიური ორგანოს წევრი და ერთ სხდომაში მაინც მონაწილოეობს შესაბამის თვეში. ერთი კოლეგიური ორგანოს წევრობისას მისი ანაზღაურება კორექტირდება პროპორციულად. ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი) პარტნიორებთან ესპანეთიდან, იაპონიიდან და სხვა. როგორც ირკვევა წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, 2021 წლის ოქტომბერში, უნივერსიტეტმა საგრანტო განაცხადი პროექტით „მუსლიმი თემის როლი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში“ შეიტანა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი“-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, თანამშრომლობა დაიწყო ყაზახეთის რესპუბლიკის, ქალაქ ალმაატის უნივერსიტეტთან - Almaty Management University (ALMAU). 2021 წლის ნოემბერში, უნივერსიტეტმა თანამშრომლობა ასევე დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან (IRI) და გერმანულ ფონდ „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის“ სამხრეთ კავკასიის ოფისთან. თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, როგორც კვლევითი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება; ○ აკადემიური პერსონალის დატვირთვის და ანაზღაურების წესი; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში არსებული საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის აუცილებელი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. სტუდენტისთვის საჭირო ლიტერატურის შეკვეთა შესაძლებელია ელექტრონული კატალოგის მეშვეობით. ამავე დროს, როგორც გაირკვა ექსპერტთა ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერების დროს, იგეგმება ბიბლიოთეკის გამდიდრება სხვადასხვა დარგის წიგნებით, რაც აუცილებელია, რადგანაც კვლევითი ლიტერატურის თვალსაზრისით ბიბლიოთეკა საკმაოდ მწირია და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს, როგორც სასწავლო კურსების ფარგლებში დაგეგმილი კვლევისას, ისე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ბევრად უფრო მეტი სამეცნიერო ლიტერატურა დასჭირდებათ. ასევე, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული ბაზები, როგორციაა JSTOR, EBSCO, SCIENCE DIRECT, DUKE PRESS, SAGE JOURNALS და სხვა. ამ რესურსებთან სტუდენტებს და პერსონალს წვდომა აქვთ როგორც კამპუსზე, ასევე დისტანციურად. აღნიშნული მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მათ ეძლევათ საშუალება მრავალმხრივი და სფეროს უახლეს ცოდნაზე დაფუძნებულ მიღწევებს გაეცნონ, არამედ ამით ხელი ეწყობა ინტერნაციონალიზაციის საკითხსაც, რაც თანამედროვე ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შეუქცევადი პროცესია. ინტერვიუების ჩატარების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტში ჯერ არ მოქმედებს ელექტრონული პორტალი, სადაც ხელმისაწვდომია ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ. ამ მიზნით ლექტორები იყენებენ იმეილს, რომლის მეშვეობით აწვდიან

შესაბამის ინფორმაციას ფაკულტეტის ადმინისტრაციას. მასალები საგნების ფარგლებში იტვირთება Google Classrom-ში ან იგზავნება იმეილის მეშვეობით. ამდენად, არსებული საბიბლიოთეკო და ტექნიკურ-მატერიალური რესურსი პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია და ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამავე დროს, სასურველია, უახლოეს დროს ამოქმედდეს ელექტრონული პორტალი, რათა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია სტუდენტებსა და პროგრამაში ჩართულ პერსონალს შორის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ იგეგმება ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე მეტი სტუდენტის მიღება. სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო აუდიტორიების გარდა, რომლებიც სათანდოდ არის აღჭურვილი, სტუდენტებს, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა სივრცეები, სადაც მუშაობენ თავიანთ პროექტებზე, ესწრებიან საჯარო ლექციებს და კონფერენციებს. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. უნივერსიტეტის კანონიერ მფლობელობაშია 2824 კვ.მ. მატერიალური-ტექნიკური რესურსს დაცვას უზრუნველყოფს, როგორც უნივერსიტეტის დაცვა, ისე ე.წ. ტექნიკური დაცვის სისტემები (ვიდეოთვალი, საჭიროების შემთხვევაში; სიგნალიზაცია; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა; თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ ინფრასტრუქტურის დათვალიერება აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში; ○ სახელმძღვანელოების შესყიდვის ხელშეკრულება; ○ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; ○ კვლევებისა და პოლიტიკის ინსტიტუტის წლიური ანგარიში; ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: 4.3. აუცილებელია ბიბლიოთეკის გამდიდრება სამეცნიერო ლიტერატურით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსი.
პროგრამის აკრედიტაციისთვის გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში წარდგენილი იქნა ბრიტანეთის კვლევების პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ჯამურ ინფორმაციას ყველა გათვალისწინებული ხარჯების და შემოსავლების შესახებ. ყველაზე მსხვილი თანხა გამოყოფილია აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებისთვის. ასევე გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის ხარჯები (როგორიცაა მონაწილეობა კონფერენციებში, კვლევით პროექტებში და სხვადასხვა საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში) და ლიტერატურა და საკანცელარიო ნივთები. აღსანიშნავია, რომ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან და უნივერსიტეტის რექტორთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის დამატებითი ფინანსური საჭიროებები შეილება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდებით. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებების შედეგად ასევე გაირკვა, რომ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება აკრედიტაციის მიღების შედეგად, შესაბამისად, სარეზერვო ფონდის ფინანსური რესურსების გამოყენება ნაკლებად რელევენატური გახდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი;
- ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის,

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა PDCA ციკლს, რაც გულისხმობს პროცესის წარმართვას შემდეგ პრინციპზე დაყრდნობით – „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". აღნიშნული სამსახური ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება, როგორც გარე მარეგულირებელ ჩარჩო დოკუმენტებს, ასევე შიდა მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს. საქმიანობა, ბუნებრივია გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიაზე დაყრდნობით. ციკლის მიხედვით, არსებული მექანიზმების გამოყენება ხდება შემდეგგვარად: I. დაგეგმე – პროგრამის გასაუმჯობესებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს. განსაზღვრავს შესაბამის ვადებს/პერიოდს აღნიშნულის განსახორციელებლად. ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე იგრძნობოდა უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ასევე, გამოიკვეთა პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. II. განახორციელე – პროგრამების სრულყოფის მიზნით გათვალისწინებულია დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებს და მოლოდინებს შესწავლა. ვინაიდან პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული და ამ ეტაპზე მხოლოდ რამდენიმე სტუდენტი სწავლობს აღნიშნულ პროგრამაზე, ამიტომაც გამოკითხვების ჩატარება რეალური სურათის მომცემი ვერ იქნება. შესაბამისად სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ეფუძნებოდა არა ჩატარებულ გამოკითხვებს, არამედ ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებს, რაც დადასტურდა სტუდენტთა მხრიდან ინტერვიუების დროსაც. სასურველია, მსგავსი ტიპის შეხვედრები ოქმის სახით იყრიდეს თავს ერთ დოკუმენტში და წარმოდგენილი იყოს, როგორც მტკიცებულება. ინსტიტუცია აქტიურად იყენებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპრიდაპირი შეფასების მეთოდებს. გარდა ამისა, ხდება არა მხოლოდ პროგრამის შეფასება, არამედ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების შესწავლა. როგორც ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ადამიანური რესურსების მართვისა და სამეცნიერო კვლევითი სამსახურის მხარდაჭერით. აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასება ხდება სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. აკადემიური პერსონალი ყოველი წლის ბოლოს წარმოადგენს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ ანგარიშს. აღნიშნულ ანგარიშში თითოეული საქმიანობისთვის განკუთვნილია შესაბამისი ქულა. III. შეამოწმე – სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ხდება საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამაში შემავალი კომპონენტების პერიოდული მონიტორინგი.

უნივერსიტეტს დადგენილი აქვს შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმები, პროცედურები, პერიოდულობა და ისიც თუ როგორ ხდება შემოწმების შედეგების განხილვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების ფორმები; სწავლება-სწავლის ხარისხის შეფასების ფორმები; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების ფორმები. აქედან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსები/კომპონენტები, არამედ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება სხვადასხვა, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების გზით. IV. განავითარე – ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და შემდგომ რეაგირებას. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა. ასევე ხდება გაცემულ რეკომენდაციათა შესრულების შემდგომი რეაგირება. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა ○ გამოკითხვის, ანგარიშის ფორმები ○ ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამა ○ ლექციაზე დასწრება/კოლეგების შეფასების ოქმი ○ პერსონალის გამოკითხვა ○ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში ○ აკადემიურ პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი ○ აფილირებული აკადემიური და აკადემიური პერსონალის დატვირთვისა და ანაზღაურების წესი ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 5.1 სასურველია, ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრები ოქმის სახით იყრიდეს თავს ერთიან დოკუმენტშიდა წარმოდგენილი იყოს, როგორც თანდართული მტკიცებულება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის კულტურის დანერგვისთვის იყენებს როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმებს. უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. მოცემული პროგრამის გარე შეფასება განახორციელა დამოუკიდებელმა ექსპერტმა, საქართველოში არსებული ერთ-ერთი უსდ-ს წარმომადგენელმა. შემფასებელი არ იყო შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი ან/და დაინტერესებულ მხარე და გააჩნდა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები. ვინაიდან გარე შემფასებლის მიერ საბოლოო დასკვნა და გაცემული რეკომენდაციები არ არის სიღრმისეული, გარე შეფასებაც წარმოშობს გარკვეულ კითხვებს. სასურველია, გამოხმაურებები არ იყოს ზედაპირული, ზოგადი და შესაბამისად გვაძლევდეს უფრო ნათელ სურათს პროგრამის შეფასების ნაწილში. გარე შეფასებებით უნდა მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების უფრო მეტად იდენტიფიცირება. შეფასება უნდა იყოს უფრო დეტალური და სიღრმისეული. გარდა ამისა, სასურველია პროგრამა შეფასდეს უცხოელი შემფასებლის მიერაც. როგორც ადგილობრივი დარგის პროფესორის/პრაქტიკოსის მიერ, ასევე უცხოელი პროფესორის მიერ კოლეგიალური შეფასება მეტ შესაძლებლობას მოგვცემს, რომ გაზიარდეს საუკეთესო პრაქტიკა, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს პროგრამის აქტუალობას და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამა ○ გარე შეფასების დოკუმენტი ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 5.2. სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების უფრო მეტად იდენტიფიცირება. შეფასებები უნდა იყოს უფრო დეტალური და სიღრმისეული; 5.2. სასურველია, პროგრამა შეფასდეს უცხოელი შემფასებლის მიერ
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის შეფასება, როგორც უკვე 5.1 ქვესტანდარტის შეფასებისას იქნა განხილული, ხდება სხვადასხვა ინდიკატორის გამოყენებით. ეს თავის მხრივ გულისხმობს დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევას, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, სტუდენტების კმაყოფილების ყოველსემესტრულ კვლევას, დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზს, კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების კვლევას, პროგრამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზს. პროგრამის მოთხოვნადობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ინსტიტუციამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა (სპეციალური კითხვარების მეშვეობით). შრომის ბაზრის კვლევისას გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინება მოხდა პროგრამაზე მუშაობისას. პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასებებისათვის, გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარები. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების დაგეგმვით. მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, გაანალიზებასა და შესაბამის რეკომენდაციათა განსაზღვრას. გაცემულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით ხდება შემდგომი რეაგირების წარმოდგენა, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს დამატებით, საჭიროებაზე დაფუძნებულ ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრას. ასეთ დროს, ჩატარებული ინტერვიუებიდან გაკეთებული დასკვნები განიხილება ჯერ პროგრამის განვითარების ჯგუფში, შემდეგ ფაკულტეტის საბჭოზე, საბოლოო გადაწყვეტილებას კი იღებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი). პროგრამის განვითარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით აუცილებელია განხორციელდეს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის პროგრამებთან დადარება. შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში მითითებული იყო რამდენიმე უცხოური და ერთი ადგილობრივი უსდ, რომელიც ახორციელებს

ანალოგიურ პროგრამებს, თუმცა კვლევა არ იყო სიღრმისეული და არ ხდებოდა აქცენტირება იმაზე, თუ რა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მოხდა აღნიშნული დადარების შედეგად. გარდა ამისა ბენჩმრაკინგი არ იყო წარმოდგენილი ცალკეული დოკუმენტის სახით. აუცილებელია, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით ბენჩმარკინგის დოკუმენტში გამოკვლეული იყოს ცალკეული უსდ-ები, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროგრამებს. დადგინდეს მათი თანხვედრა (მსგავსება და განსხვავება) დაწესებულების პროგრამასთან მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების, სტრუქტურის, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესაბამისობის კუთხით. თითოეული კომპონენტის დადარების შედეგები წარმოდგენილი იყოს დასკვნის სახით, ხოლო მთლიანად პროგრამის თავსებადობის შედეგები აისახოს შემაჯამებელ დასკვნაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ ბრიტანეთის კვლევების ინგლისურ ენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა; ○ კითხვარების, ანგარიშის ფორმები; ○ ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამა; ○ პერსონალის გამოკითხვა; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: 5.3. აუცილებელია განხორციელდეს პროგრამის როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის პროგრამებთან სიღრმისეული დადარება, რაც აისახება ცალკეულ ბენჩმარკინგის დოკუმენტში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს – ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეიმურაზ პაპასქირი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ელისო ფანცხავა



სახელი, გვარი, ხელმოწერა ივანნა მაჩიტიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო პატარაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა სესილი ქადარია